სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 მარტი, 2025 წ

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N 07-01/10

ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის N07-01/10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი'' ქვეპუნქტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N291569, 18.03.2025 წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 მარტის სხდომის N07-02/03 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის N07-01/10 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართის (წესი):

ა) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სტუდენტის/სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ–ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი, ბსუ-ს ემერიტუსი, დოქტორანტი (რომელსაც გავლილი აქვს სასწავლო კომპონენტი), ასევე მოწვეული მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელი. დასაშვებია სამეცნიერო ნაშრომს ჰყავდეს 1 თანახელმძღვანელი, ამასთანავე, დასაშვებია ერთი პირის მიერ ერთდროულად სამი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა (ან თანახელმძღვანელობა).

ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) I ადგილზე გასული სტუდენტის შემთხვევაში:

1. გადაეცემა უნივერსიტეტის კონფერენციაში გამარჯვებულის სერტიფიკატი;
2. მისი ნაშრომი დაიბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში;

3. განისაზღვრება ფულადი ჯილდო არაუმეტეს 375 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით);
4. შესაბამისი ფაკულტეტის რეკომენდაციის წარდგინების საფუძველზე სტუდენტური კონფერენციის ჩატარებიდან 1 წლის განმავლობაში ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციაში/ფორუმში მონაწილეობის შემთხვევაში მიიღებს დაფინანსებს არაუმეტეს 1500 ლარის ფარგლებში;

ბ) II ადგილზე გასული სტუდენტის შემთხვევაში:

1. გადაეცემა უნივერსიტეტის კონფერენციაში გამარჯვებულის სერტიფიკატი;
2. მისი ნაშრომი დაიბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში;
3. განისაზღვრება ფულადი ჯილდო არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით);
4. შესაბამისი ფაკულტეტის რეკომენდაციის წარდგინების საფუძველზე სტუდენტური კონფერენციის ჩატარებიდან 1 წლის განმავლობაში ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციაში/ფორუმში მონაწილეობის შემთხვევაში მიიღებს დაფინანსებს არაუმეტეს 1000 ლარის ფარგლებში;

გ) III ადგილზე გასული სტუდენტის შემთხვევაში:

1. გადაეცემა უნივერსიტეტის კონფერენციაში გამარჯვებულის სერტიფიკატი;
2. ნაშრომი დაიბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში/ჟურნალში;
3. განისაზღვრება ფულადი ჯილდო არაუმეტეს 125 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით);
4. შესაბამისი ფაკულტეტის რეკომენდაციის წარდგინების საფუძველზე სტუდენტური კონფერენციის ჩატარებიდან 1 წლის განმავლობაში ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციაში/ფორუმში მონაწილეობის შემთხვევაში მიიღებს დაფინანსებს არაუმეტეს 500 ლარის ფარგლებში.''.

2. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის“ კოდიფიცირებული ვერსია და წარადგინოს ბსუ-ს იურიდიულ ცნობარში და სტუდენტთა გზამკვლევში განთავსებისათვის.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე კოდიფიცირებული წესი გამოქვეყნდეს ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).
4. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**